



განხილვა უმაღლესი ლიგის წყაღებულთა საქვეყნო ჩემპიონატის პირველი წრის პირველი ტური. შეხვედრები ამჟამად მერყეობს და მოსკოვში ტარდება.

ქარაბისი. თბილისის „ლინამომი“, როგორც მოგვხსენებთ, მიმდინარე ჩემპიონატი უარესად სუსტად დაიწყო და ზედიზედ ხუთი სხტარტო შეხვედრა წავაგო. ქართველ წყაღებულთა წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად უკმარ ფიზიკურ მომზადებას ასახელებდნენ. და მართლაც, ჩვენი გუნდი ინიციატივას ყოველ თამაშში როგორც წესი ბოლოს თამაშობდა ხოლმე, ეს უარესად არასახარბიელო

ტენდენცია სამწუხაროდ ამ ტურის მატჩებშიც იგრძნობა.

18 თებერვალს ლინამომებმა ფრედ (11:1) დაამთავრეს შეხვედრა სევასტოპოლის მეზღვაურებთან. ამ მატჩის პირველი პერიოდი „ლინამომ“ საკმაოდ დამაჯერებლად მოიხერხა: 4:1. მეორე პერიოდი ჩვენი მეტოქის გამარჯვებით დამთავრდა — 3:1, მაგრამ ორი პერიოდს შემდეგ მინიმალურ უპირატესობას მიიწეოდა თბილისელები ინარჩუნებდნენ. მესამე პერიოდი დამთავრდა ფრედ — 3:3. აი, მეოთხე საბედისწერო პერიოდი წყვეტეთ — 3:4 და ამან ჩვენს მეტოქეებს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მიეცა.

ანალოგიური სიტუაცია იყო კიევის „ლინამოსთან“ ორთაბრძოლაშიც. სამი პერიოდის შემდეგ წინ თბილისელი წყაღებულები იყვნენ — 5:4 (2:3, 2:0, 1:1), მეოთხეში კი უკრაინელებმა შესძლეს თამაშში ვარდების შეტანა, მოიგეს პერიოდი 3:1 და მასთან ერთად შეხვედრაც — 7:6.

პირველი ორი ტურის სხვა მატჩები დამთავრდა ასე: **ქარაბისის წყაღები**. „ლინამომ“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) 5:5, უნი-

ვერსიტეტი (მოსკოვი) — „ლინამომ“ (მოსკოვი) 13:7, „ლინამომ“ (მოსკოვი) — უნივერსიტეტი (მოსკოვი) 6:5, ასკ (სევასტოპოლი) — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) 9:8.

მოსკოვის წყაღები. ცსკ ვმფ — „ტორპედო“ (მოსკოვი) 12:8, კფ (ბაქო) — „ლინამომ“ (ლეივი) 7:16, „ლინამომ“ (ალმა-ათა) — „მოსკოვი“ 7:7, ცსკ ვმფ — „მოსკოვი“ 8:4, „ლინამომ“ (ლეივი) — „ლინამომ“ (ალმა-ათა) 15:9, „ტორპედო“ (მოსკოვი) — კფ (ბაქო) 10:5.

გათამაშების ცხრილი

| მდგომარეობა 20 თებერვლისთვის | ცსკ ვმფ | 7 | 7 | 0 | 14 |
|------------------------------|---------|---|---|---|----|
| უნივე. (მოს.) | 7 | 4 | 2 | 0 | 11 |
| „ლინ.“ (მოს.) | 7 | 8 | 2 | 1 | 8 |
| „მოსკოვი“ | 7 | 8 | 2 | 2 | 8 |
| „ლინ.“ (ლეივი) | 7 | 8 | 2 | 2 | 8 |
| „ლოკ.“ (ხარკ.) | 7 | 2 | 2 | 2 | 7 |
| „ლინ.“ (კიევი) | 7 | 2 | 1 | 2 | 7 |
| „ტორპ.“ (მოს.) | 7 | 2 | 1 | 2 | 7 |
| „ლინ.“ (ალმა-ათა) | 7 | 1 | 4 | 2 | 6 |
| ასკ (სევასტ.) | 7 | 2 | 2 | 2 | 6 |
| „ლინ.“ (თბილისი) | 7 | 0 | 1 | 2 | 1 |
| კფ (ბაქო) | 7 | 0 | 7 | 0 | 0 |

I ლიგის წყაღებულთა საქვეყნო ჩემპიონატი, I წრე, II ტური

როგო მოგება შეიკვებოდა...

თბილისი. ვაის საცურაო პუხი. „უნივერსიტეტი“ (თბილისი) — „მენბატ“ (ტაშკენტი) 6:8 (1:2, 1:1, 0:1, 4:1).

„უნივერსიტეტი“: ტუკაძე, კოლუაშვილი, პაპარიძე, ქათამაშვილი, გომეზიშვილი, დიმიტოვი, გვასარია; ნიკოლაიშვილი, ფანჯულიძე, ტატიშვილი, დემეტრაშვილი, კელაურაძე.

„მენბატ“: ფელიაშვილი, კუტაბიანი, ლოშინინი, მერენკო, მენბატოვი, მუხამეტოვი, მუხამეტოვი; პლეტნევი, ბერხენევი, მატვევი, ბიკმატოვი, ზოტოვი.

„მენბატ“ ერთ დროს უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა, მაგრამ იქ თავი ვერ გამოიჩინა. იგი საშუალო ძალის გუნდდაც კი არ ითვლებოდა. ახლა ტაშკენტელები არც I ლიგის ბინადართა შორის გამოირჩევიან. ყოველ შემთხვევაში, პირველ ტურში 10 შესაძლებელია ერთადერთი ქულის მოპოვება შეძლეს და თუ თბილისელებთან შეხვედრამდე თანავანთ აქტივს კიდევ 2 ქულა მიუმატეს, ეს მათი დამსახურება სულაც არ იყო. როგორც ვიუწყებოდით, აქ სასაპარეზოდ არ ჩამოვიდა დუ-

შინებს „ამირი“ და „მენბატ“ უბრალოდ მოგება ჩაეთვალა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, თბილისელებს მათთან შეხვედრაში უთუოდ უნდა გაემარჯვებინათ თუ შეეძლებს უნივერსიტეტელები მასპინძლები იყვნენ.

სამწუხაროდ, ვიარაღი არ გამოიხატა და ფრედ სინატრელი გაგვიხდა. თბილისელები ამ მატჩში მხოლოდ ერთხელ დაწინაურდნენ, როცა ანგარიში გახსნეს, ამის მერე კი ერთთავად მდევრების როლში იყვნენ. თუმცა, ნაღდი საგალოე მომენტები უკეთ რომ გამოეყენებინათ და ცეცხლში მერე ყურადღებით ეთამაშათ (ორივეზე ერთად აღარ ვლამბარობთ), გამარჯვება თბილისელებს დარჩებოდა.

მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს: გვასარია, კოლუაშვილი (2-2), ნიკოლაიშვილი და დიმიტოვი, ტაშკენტელთაგან — მუხამეტოვი (3), მუხამეტოვი, ლოშინინი (2-2). და მენბატოვი.

კუბანის „ბანგასა“ და მოსკოვის „მთიანის“ შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 8:4.

ავთანდილ ხაჩიშვილი.

საპარტიველოს სსრ უნივერსიტეტისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტისა

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИКУЛЬТУРЕ, КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОСВЕЩЕНИЯ

21 თებერვალი, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 36 (10 205) ღ ზანი 3 კპპ.


გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

ვახუშტა სამხრეთ-აღმოსავლეთი პირველი რაიონის რამდენი წლისა ხარ?

იმდენი მონაწილე ჩავიდა ბათუმში, ვახუშტა სამხრეთ-აღმოსავლეთი პირველი რაიონის რამდენი წლისა ხარ, რომ მასპინძლები საგონებელშიც კი ჩავარდნენ. ერთი საქმეა 120 სპორტსმენისათვის მოამზადო სარბიელი და დასაბინავებელი ადგილი და მეორე — ლისეუმად დახედე 264 მონაწილეს.

ქალაქის განათლების სამმართველოს მუშაკებმა სტუმართა დაინაგების საკითხს კარგად გაართვეს თავი, ოღონდ სპორტული დარბაზი უკვე ამჟამად ვიწრო აღმოჩნდა ამდენი მონაწილისთვის. რესპუბლიკურ პირველობაზე ნორჩ სპორტსმენთა ასეთი მოზღვაება სამბოს აშკარად ვაზრდილ პრობლემად შეგვეჩვენებ. საყურადღებოა ისიც, რომ ზოგი ძიუდოისტის, რომლებსაც სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონის სპორტის ცენტრში ჩვენთვის მომზადებული ადგილები არ ჰქონდათ, ახლა უკვე მოქმედებდა გადართობის საკითხი რამდენიმე შემთხვევაში უკანონო მოქმედებაში გადაიზარდა ამ სიტყვის თითქმის პირდაპირი მნიშვნელობით: თბილისისა და ლენინგრადის გუნდებში ასაკგადაზრდილი სპორტსმენები აღმოაჩინეს და, ცხადია, შეჭირბრებიდან მოხსნეს. სწავლა შორის, ეს „უფროსები“ ისევ მათმა მეტოქეებმა აღმოაჩინეს. მართლაც, სიტყვილია, რომ სპორტსმენები უკვე ბავშვობის ასაკიდან ხდებიან მოწმენი ასეთ უწყვეტ ცდებისა, რაც, ცხადია, სასიკეთოდ ვერ მოქმედებს მათს აღზრდაზე. იქნებ სხვა გუნდებსაც

პყავდათ ასაკგადაცილებული წევრები, რადგან აღმოჩენილები უფრო ძლიერი სპორტსმენები იყვნენ და მათ ბევრი იცნობს, სუსტი კი არავის აინტერესებს. ჩვენთან საუბარში კიდევ ერთ, საკმაოდ საინტერესო საკითხზე გაამხვილა ყურადღება პირველობის მთავარმა მსაჯმა, საქართველოს მოსწავლე სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონის სპორტის ცენტრის მწვრთნელმა თენგიზ არბიულმა: რადგან საქართველოში იმდენი



მსაჯი არ არის, რომ მოსწავლეთა ასეთ დიდ პირველობას „ეყოს“, ცხადია, ბევრ შეხვედრას მწვრთნელები მსაჯობდნენ და თავიანთ ინტერესებს (ე. ი. საკუთარი გუნდისა თუ მოწაფეების) გამო ზოგჯერ ობიექტურობას დაკარგავდნენ. ყველაფერი ეს იყო ამ შეჭირბე-

ბის ჩრდილოეთი მხარე, თორემ სხვა დანარჩენი სასურველი საბით წარმოსდგა: მონაწილეთა რაოდენობაზე და ენთუზიაზმზე უკვე ვთქვით, შეხვედრებიც ძალზე საინტერესოდ ჩატარდა და მოკიდევებმა მართლაც კარგი მომზადება გამოამჟღავნეს, თანაც ისეთი გუნდების წევრებზე, რომლებიც ადრე არ ჩანდნენ. რესპუბლიკურ პირველობებზე, მაგალითად, ნორჩი მესტიელი ფალაგები (მწვრთნელი რომიზონ ჯაფარიძე), რომელთაგან ოთხი მოხვდა რესპუბლიკის ნაკრებში. ტრადიციულად ძლიერად იასპარეზებს ქუთაისისა და თბილისის ნაკრებებში. კარგი გუნდი გამოიყვანა გარდაბნის რაიონმაც.

ცალკეულ მონაწილეებიდან უფროსმა მწვრთნელმა განსაკუთრებით აღნიშნა თბილისელები მისელო ბაშიძე (45 კგ) და ვანო არაბული (78), ახმეტელი ვისილ ყორბაშვილი (42) და ქუთაისელი ნიკო ნიკოლაძე (+78), აქვე ვრცელდით, რომ ყველა მონაწილე 1974-1975 წლებშია დაბადებული, ესე იგი იმ ასაკისანი არიან, რომლებიც მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონის რაიონებში.

ბოლოს კი გაცნობებთ გამარჯვებულთა ვინაობას წონითი კატეგორიების მიხედვით: 28 კგ. ნიკო არაბული (ქასბი); 40. ქართლოს თედიშვილი (საგარეჯო); 42. ვისილ ყორბაშვილი (ახმეტა); 45. მიხეილ აბაშიძე (თბილისი); 48. ვიორგი გორალოვიშვილი (ახმეტა); 51. ლევან ილიაშვილი (ორევი) — ქუთაისი); 55. აკაკი გაგაშვილი (გარდაბანი); 59. ირაკლი გვიციანი (ლენინგრადი); 62. ოთარ ჭარბაძე (თელავი); 65. ბადრი სინჯარაძე (თბილისი); 72. მალხაზ გულბანი (გარდაბანი); 78. ვანო არაბული (თბილისი); +78. ნიკო ნიკოლაძე (ქუთაისი).

გალტიისპირეთის რესპუბლიკაში სიხალდეთა ესტაფეტა

ლიტვანუნი შეიქმნა ახალი კავშირი

ეს არის ფიზკულტურისა და ჯანმრთელობის კავშირი, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს ლიტვის 20 ათასამდე რბენის მოყვარულს. კავშირის თავმჯდომარემ დ. კობაიანიმ განაცხადა, რომ ეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია ახლო მომავალში უფრო მასობრივი გახდება, თავის რიგებში მიიზიდავს სხვა-

დასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებს. კავშირის ძირითადი ამოცანაა: ფიზიკური კულტურისა და რაციონალური კვების პროპაგანდა, აგრეთვე სასწავლებლებში და შრომით კოლექტივებში პოპულარული პირობების უზრუნველყოფა, რისთვისაც ყველაფერ შეიქმნება კლუბები და

ჯანმრთელობის სკოლები. ფიზკულტურის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მედიკოსები, სოციოლოგები და სხვა დარგის სპეციალისტები. პრაქტიკაში დაინერგება მხოლოდ ის მეთოდები, რომელსაც ერთობლივად გამოიკვლევენ და მოიწონებენ სხვადასხვა სპეციალისტები.



როგორც ვიუწყებოდით, სტუდენტური სპორტული კლუბების ეროვნული ასოციაციის შექმნელად საქართველოში ჩამოყალიბდა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც მუშაობდა წესდების პროექტის შექმნელად. ეს პროექტი შეიქმნა და დღეს განხილველად გათავაზობთ.

იმედია, მკითხველები, რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა, სპეციალისტები, სტუდენტი-ახალგაზრდობა თავის აზრს გამოთქვამს ამ პროექტის თაობაზე.

საპარტიველოს უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების პროგრესული პროგრესული ასოციაციის წესდება

- I. ზოგადი დავალებები
1. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების ეროვნული ასოციაცია (სკა) იქმნება და ფუნქციონირებს საზოგადოებრივ საწყისებზე და ემსახურება ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების უმაღლეს სასწავლებლებში.
 2. სკა თავის მუშაობას წარმართავს აღნიშნული წესდების, საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და კანონების საფუძველზე.
 3. სკა-ს საქმიანობა ემყარება თვითმმართველობისა და ნებაყოფლობითი გაწევრიანების პრინციპებს.
 3. სკა წარმოადგენს იურიდიულ პირს, აქვს თავისი ბეჭედი, შტამპი, შენობები, ნაგებობები, სხვა მატერიალური ფასეულობანი, დამოუკიდებელი ანგარიში სახელმწიფო ბანკში.
 4. სკა-ს აქვს თავისი დროშა, ემბლემა და სხვა ატრიბუტიკა.
 5. სკა შექმნილია ითვლება დამფუძნებელ კონფერენციებზე წესდების მიღების დღიდან და მისი რეგისტრაცია ხდება დადგენილი წესით.
 6. სპორტული კლუბების ინიციატივის საფუძველზე ტერიტორიულ-დარგობრივი პრინციპით შეიძლება შეიქმნას ასოციაციის განყოფილებები, რომლებიც მუშაობენ მკიდრო კონტაქტში სახალხო განათლების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ადგილობრივ ორგანიზაციებთან, დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და უწყებებთან.
 7. სკა-ს ფინანსურ-მატერიალური და სოციალური დამაარსებლები და გარანტები არიან: საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი და პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევიარდების“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭო.
- II. მიზნები და ამოცანები:
1. სკა იქმნება უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების საქმიანობის კოორდინაციისა და სპორტული კლუბების დებულებით გათვალისწინებული ამოცანების უკეთ გადაწყვეტის მიზნით:

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების ეროვნული ასოციაციის წესდება

(დასასრული)

2. სკეა-ს მთავარ ამოცანას წარმოადგენს:

— სტრუქტურა შორის ფიზიკულ-სპორტული მოძრაობის ფართოდ გაშლა, მისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის ზრუნვა;

— სტრუქტურული ლიგების შექმნა სპორტის ცალკეული სახეობების მიხედვით, რესპუბლიკური პირველი-ლიგების ჩატარება;

— მასობრივი სტრუქტურული შეჯიბრებების ჩატარების სისტემის ორგანიზაციული სრულყოფა;

— ფიზიკური კულტურისა და სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის ზრუნვა (სპორტული ნაგებობები, ცენტრები, ბანაკები, პროფიტორიუმები და ა. შ.);

— რესპუბლიკის სტრუქტურული სპორტის ინტერესების დაცვა საერთაშორისო, საკავშირო, რესპუბლიკური საბჭოთა, სპორტულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში;

— საზოგადოებრივი ურთიერთობების სპორტულ ორგანიზაციებთან სტრუქტურული სპორტული კავშირებისა და თანამშრომლობის დამყარება და მისი შემდგომი განვითარება;

— უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბებისათვის კადრების, ფიზიკულ-სპორტული აქტივის მოზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

3. თავისი გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველსაყოფად სკეა-ს შეაქვს წინადადებები საქონიმდებო და აღმასრულებელ ორგანოებში.

III. სკეა-ს ორგანიზაციული სტრუქტურა

1. სკეა-ს უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს რესპუბლიკური კონფერენცია, რომელიც მოიწვევა 3 წელიწადში ერთხელ.

2. სკეა-ს საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის კონფერენციებს შორის ირჩევიან პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, აღმასრულებელ კომიტეტის, სარევიზიო კომისიის, აღმასრულებელ დირექტორის.

3. სკეა-ს პრეზიდენტი არჩევა ხდება არა უმეტეს ორი ვადისა. სკეა-ს ხელმძღვანელ ორგანოს არჩევნები ყველა დონეზე წარმოებს ორი ან დახურული პირდაპირი კენჭისყრით, ხმების უმრავლესობით.

4. აღმასრულებელ კომიტეტთან შეიქმნას შიდა კომისიები, საბჭოები და სხვა მუშა ორგანოები მუშაობის სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით.

IV. სკეა-ს კონფერენცია:

1. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ სკეა-ს უფლებამოსილი წევრები, აღმასკომის წევრები, აგრეთვე სკეა-ს განყოფილებების თავმჯდომარეები და აღმასრულებელი დირექტორები. თითოეულ მათგანს აქვს გადაწყვეტილების უფლება.

2. კონფერენცია ითვლება უფლებამოსილად, თუ მის წევრებს სკეა-ს წევრთა არა ნაკლებ 50 პროცენტის კონფერენციის გადაწყვეტილებების მიღება ხდება ხმის უმრავლესობით.

3. კონფერენცია ლეგალიზაციას გადაწყვეტილებას სკეა-ს შექმნისა და გაუქმების შესახებ, ამტკიცებს ასოციაციის პროგრამას და წესდებას, შეაქვს მათში ცვლილებები; შეფასებას აძლევს და ამტკიცებს აღმასრულებელ კომიტეტის ანგარიშს, სარევიზიო კომისიის ანგარიშს, განსაზღვრავს სკეა-ს მორიგ ამოცანებს.

4. რიგგარეშე კონფერენცია შეიძლება მოიწვიოს სკეა-ს წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით, ან აღმასკომის გადაწყვეტილებით; კონფერენციის მუშაობას ხელმძღვანელობს მისი მთავარი პრეზიდენტი; კონფერენციის ხსენს პრეზიდენტი.

5. კონფერენციის დღის წესრიგს ამაზღვრებს აღმასრულებელი კომიტეტი.

6. სკეა-ს პრეზიდენტი ახორციელებს ხელმძღვანელობას აღმასრუ-

ლებელი კომიტეტისადმი, ხელმძღვანელობს მის სტანდარტებს, შეიმუშავებს დღის წესრიგს, წარმოადგენს აღმასრულებელი დირექტორის, ასევე სხვა მუშა ჯგუფების ხელმძღვანელების კანდიდატურებს.

7. პრეზიდენტი წარმოადგენს სკეა-ს საბჭოთა, სახელმწიფო, პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანოებში, საზოგადოებრივი სპორტულ ორგანიზაციებშია და გაერთიანებებში.

V. აღმასრულებელი კომიტეტი

1. ახორციელებს ხელმძღვანელობას სკეა-ს საქმიანობისადმი კონფერენციებს შორის პერიოდში, ატარებს სტანდარტებს არა ნაკლებ 3 თვეში ერთხელ; ასრულებს კონფერენციის გადაწყვეტილებებს, არეგულირებს სკეა-ს წევრების, მუშა ორგანოებისა და სპორტის სახეობების მიხედვით სტრუქტურული ფედერაციების საქმიანობას.

2. იღებს გადაწყვეტილებებს მიმდინარე საკითხებზე, რომლებიც ძალაში შედის ხმების უმრავლესობით, თუ ხმის მიცემაში მონაწილეობს აღმასკომის წევრთა არა ნაკლებ 2/3-ისა.

3. აღმასკომი კონფერენციის წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ, ახორციელებს კონტროლს კონფერენციის გადაწყვეტილებების შესრულებაზე სკეა-ს წევრებისა და მუშა ორგანოების მეშვეობით.

4. ყოველწლიურად იხილავს და ამტკიცებს ასოციაციის ბიუჯეტს, არეგულირებს სკეა-ს ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობას, ლეგალიზაციას გადაწყვეტილებებს ძირითადი ფინანსური ოპერაციების წარმოების თაობაზე.

5. სკეა-ს სახელით შეაქვს წინადადებანი და ნორმატიული აქტების პროექტები საქონიმდებო და აღმასრულებელ ორგანოებში.

6. იხილავს და ამტკიცებს სკეა-ს სამუშაო გეგმებს, სტრუქტურულ სპორტულ კალენდარს, ასევე სხვა ლონისიძებების გეგმებს.

7. ამტკიცებს სკეა-ს მთავარი ხაზინადარის კანდიდატურას.

8. წარადგენს სკეა-ს წარმომადგენლების კანდიდატურებს საკავშირო და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში.

9. აღმასკომის აპარატის ფუნქციონირებაში „ბურჟევსტიკის“ რესპუბლიკური სპორტული კლუბის თანამშრომლებს.

10. აღმასკომის სტანდარტებს შორის მიმდინარე ოპერაციული საკითხები წყდება პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის, ხაზინადარისა და კომიტეტის რამდენიმე წევრის მიერ. ასეთი გადაწყვეტილებები მტკიცდება აღმასკომის უახლოეს სტანდარტზე.

VI. აღმასრულებელი დირექტორი

1. აღმასრულებელი დირექტორი არის სკეა-ს აღმასკომის წევრი.

2. აღმასრულებელ დირექტორად, როგორც წესი, მტკიცდება რესპუბლიკური სპორტული კლუბის — „ბურჟევსტიკის“ ხელმძღვანელი მუშაკი.

3. აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობა არის პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „მეგარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდენტის ნომინალატურა, იგი ინიშნება და თავისუფლდება მხოლოდ სკეა-ს აღმასკომის წარდგინებით.

4. აღმასრულებელი დირექტორი აწარმოებს საფინანსო ოპერაციებს, ახდენს სახსრების ხარჯვას სკეა-ს აღმასკომის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

5. აღმასრულებელი დირექტორი ანგარიშს ატარებს აღმასკომის აპარატის მუშაობის შესახებ, იღებს ოპერაციულ გადაწყვეტილებებს სკეა-ს მუშაობის საკითხებთან დაკავშირებით.

VII. სკეა-ს განყოფილებები:

1. სკეა-ს განყოფილებები იქმნება ტერიტორიულ-დარგობრივი პრინციპით, მისი სტრუქტურა მტკიცდება სკეა-ს მიერ.

2. სკეა-ს განყოფილებების სტრუქტურა, მუშაობის რეგლამენტი განისაზღვრება სკეა-ს აღმასკომის გადაწყვეტილებით.

3. სკეა-ს განყოფილებას უფლება აქვს:

— გასწიოს დამოუკიდებელი, საფინანსო და ორგანიზაციული საქმიანობა წესდების შესაბამისად, ჩაატაროს სპორტულ-მასობრივი ღონისძიებები.

— წარმოადგინოს თავისი რეგიონის, დარგის, სკეა-ს წევრთა ინტერესები სკეა-ს რესპუბლიკურ ორგანოში.

— დაადგინოს თავის რეგიონსა და დარგში ასოციაციის საწევრო-ანარიცხების ოდენობა.

— დამოუკიდებლად დაამტკიცოს განყოფილების სამუშაო გეგმა, ბიუჯეტი, სამუშაო გეგმები.

VIII. სკეა-ს უფლებამოსილებანი

უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების წინაშე დასმული ამოცანების განხორციელების მიზნით სკეა-ს უფლება აქვს:

1. ჩაატაროს ფიზიკულ-სპორტული ღონისძიებები, რისთვისაც შეუძლია გამოიყენოს საკუთარი, სახელმწიფო და პროფკავშირული ორგანიზაციების, აგრეთვე დამფუძნებლებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საონსორების, საზოგადოებრივი პარტნიორების სახსრები.

2. მონაწილეობა მიიღოს საქველმოქმედო ფიზიკულ-სპორტულ ღონისძიებებში, სპორტულ ფორუმებში და სხვა ღონისძიებების ჩატარებაში, აქტივების გამოშვებასა და ლატარის ჩატარების ორგანიზაციაში.

3. შექმნას და შეიძინოს საწარმოო, მონარაგების, საშუალო დარგულ-სპორტული, კოპერაციული და სამეურნეო საწესილები ჰქონდეს საკუთარი ძირითადი და საბრუნავი საშუალებები.

4. ფლობდეს და სარგებლობდეს საკუთრების უფლებით, ჰქონდეს ანგარიში სახელმწიფო ბანკში, იყენებდეს საბჭოთა და უცხოურ ვალუტას, საბანკო კრედიტს.

5. დადგინდეს წესის თანახმად, გააფორმოს ხელშეკრულებები სახელმწიფო, კოპერაციული, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან რესპუბლიკისა და კავშირის მასშტაბით, შექმნას ერთობლივი საწარმოები საზოგადოებრივ პარტნიორებთან.

6. ააშენოს, შეიძინოს და გაასხვისოს ყველა მოძრავი და უძრავი ქონება.

7. მონაწილეობა მიიღოს საკავშირო და საზოგადოებრივ კავშირების სპორტული ორგანიზაციების მუშაობაში, დააფინანსოს სპეციალისტებისა და დეველოპერების გამოწვევა საკავშირო და საერთაშორისო ღონისძიებებზე, აგრეთვე მოიწვიოს საკავშირო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის, მისალაბარაკებში და კონსულტაციებისათვის, დაამყაროს და გაავრცელოს საკავშირო და საერთაშორისო სპორტული და სხვაგანო ეკონომიკური კავშირები.

8. შექმნას ფილიალები, განყოფილებები და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები, წარმოადგინოს სკეა-ს მუშაობის მასშტაბითა და საზოგადოებრივ, თანამშრომლობის საქმიანობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის განხორციელების მიზნით, რომელთა საქმიანობა შეესაბამება სკეა-ს მიზნებსა და ამოცანებს.

9. ფართო რეკლამა გაუწიოს ჩატარებულ მუშაობას, გამოუშვას ვიდეო, კინო, ფოტო და ნაბეჭდი პროექტები. ჰქონდეს საკუთარი ბეჭდვითი ორგანო.

10. აწარმოოს ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, მოქმედ კანონებს და ხელს შეუწყობს სკეა-ს წინაშე დასმული ამოცანების განხორციელებას.

IX. სკეა-ს წევრები და მათი უფლებამოსილებანი

1. სკეა-ს წევრები შეიძლება იყვნენ უმაღლესი სასწავლებლების

სპორტული კლუბები მათი ტერიტორიული და უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

2. სკეა-ს წევრად მიღებისა და გასვლის საკითხს წყვეტს სკეა-ს აღმასკომი ხმის უმრავლესობით.

3. სკეა-ს ყველა წევრს უფლება აქვს:

— სპორტული კლუბის გამგეობის გადაწყვეტილებით, სკეა-ს აღმასკომის სახელზე წერილობითი შეტყობინების შექმნა, გამოვიდეს ასოციაციის შემადგენლობიდან.

— სკეა-ს წევრობიდან გამოსული სპორტული კლუბი ვალდებულია დაფაროს მასზე რიცხული ფინანსური ან მატერიალურ ფასეულობათა დავალიანება; ასოციაციიდან გასული წევრისათვის კომერციული საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლის გადახდის საკითხს წყვეტს სკეა-ს აღმასკომი.

4. სკეა-დან სპორტული კლუბის გარიცხვა შეიძლება მოხდეს წესდებისა და სახელმწიფო კანონებში გათვალისწინებული დარღვევის შემთხვევაში რესპუბლიკური კონფერენციის გადაწყვეტილებით, თუ გარიცხვის საკითხს მხარი დაუჭირა სკეა-ს წევრთა არანაკლებ 2/3-ისა.

ყოველწლიური საწევრო-ანარიცხების გადასახადების განხორციელებაში სპორტული კლუბი ავტომატურად იზრდება სკეა-ს წევრის უფლებების აღდგენის საკითხს წყვეტს სკეა-ს აღმასკომი, ასოციაციის წევრად მიღების წესის შესაბამისად.

5. სკეა-ს შემადგენლობაში უფლებამოსილი წარმომადგენელია უმაღლესი სასწავლებლის სპორტული კლუბის თავმჯდომარე, რომელიც არჩეულია უმაღლესი სასწავლებლის სპორტული კლუბის დებულების შესაბამისად, ან სპორტულ წევრი, რომელსაც გამგეობის მიერ მიანიჭებული აქვს ეს უფლება.

6. სკეა-ს წევრთა მოვალეობანი: სკეა-ს წევრს უფლება აქვს თავისი წარმომადგენლის მეშვეობით:

— აირჩიოს ან აორჩიონ ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოებში;

— სკეა-ს ხელმძღვანელ, სამუშაო და სხვა ორგანოებში განსახილველად შეიტანოს წინადადებები და გადაწყვეტილებები პროექტები, გამოითხოვოს მასალები სკეა-ს ხელმძღვანელი და სამუშაო ორგანოების საქმიანობის, მისი ცალკეული ხელმძღვანელის, ან წარმომადგენლის შესახებ.

— მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში რესპუბლიკურ კონფერენციაზე, აგრეთვე ან ორგანოებში, რომელშიც არის ახრულები.

— მონაწილეობა მიიღოს სკეა-ს სამუშაო ორგანოების სტანდარტებში სათათბირო ხმის უფლებით, თუ იგი არ არის არჩეული ამ ორგანოებში.

— ორგანიზაცია გაუწიოს და ჩაატაროს ღონისძიებები, რომლებიც პასუხობენ სკეა-ს პროგრამას, თავის საქმიანობაში გამოიყენოს როგორც საკუთარი, ისე მოზიდული სახსრები.

7. მონაწილეობა მიიღოს სკეა-ს მიერ ორგანიზებულ ნებისმიერ ღონისძიებებში, შეიტანოს მიზნობრივი ფულადი შენატანები და მიიღოს მოგების წილი.

8. მიიღოს ფინანსური, ორგანიზაციულ-მეთოდური და საკონსულტაციო დახმარება სკეა-საგან.

9. თავის მუშაობაში გამოიყენოს სკეა-სა და მისი წევრების მიერ მოზადებული სამეცნიერო-მეთოდური და საინფორმაციო მასალები.

10. შეივლიდ ყველა სხვა საზოგადოებრივ ფორმირებაში, აგრეთვე შექმნას ნებაყოფლობითი გაერთიანებები და ჯგუფები, თუ მათი მიზნები და ამოცანები არ ეწინააღმდეგებიან ასოციაციის მიზნებსა და ამოცანებს.

X. სკეა-ს წევრი ვალდებულია:

1. აქტიურად შეუწყოს ხელი სკეა-ს წინაშე დასმული ამოცანების განხორციელებას.

2. დროულად შეიტანოს სკეა-ს ფონდში საწევრო-ანარიცხები დადგენილი წესის შესაბამისად.

3. დაიცვას სკეა-ს წესდება და შეასრულოს მისი ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებები.

XI. სკეა-ს ფინანსები და სახსრები

1. სკეა-ს სახსრები იქმნება:

— უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების ყოველწლიური კოლექტიური საწევრო შენატანებისაგან;

— სკეა-ს დამფუძნებელი ორგანოებისა და პროფკავშირების დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტების დოტაციისაგან;

— სკეა-ს წევრებისა და სხვა ორგანიზაციების მიზნობრივი შენატანებისაგან;

— საქველმოქმედო ღონისძიებებისა და ლატარის ჩატარების შედეგად მიღებული შემოსავლებიდან;

— წარმოება-დაწესებულებების, კომპარტოვების შემოქმედებითი კავშირებისა და გაერთიანებების კომერციული საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან.

2. სკეა-ს შემადგენლობაში შესასვლელი და ყოველწლიური საწევრო შენატანების ოდენობა განისაზღვრება უმაღლესი სასწავლებლის სპორტული კლუბის მომსახურებაში მყოფი კონტრაგენტის რაოდენობის შესაბამისად და სპორტული კლუბის თვითუფლებით შეადგენს 20 კპ.პის.

3. საწევრო-ანარიცხების შეტანა წარმოადგენს აუცილებელ პირობას სკეა-ში სპორტული კლუბის წევრად მიღების საკითხის განხილვის დროს.

4. წლიური საწევრო-ანარიცხების ჩარიცხვა ხდება წინა წლის 30 სექტემბრამდე. სპორტული კლუბი, რომელიც დადგენილ ვადაში საწევროს არ ჩარიცხავს, ავტომატურად ეთიშება სკეა-ს. მისი ასოციაციაში ხელმეორედ მიღების საკითხი განიხილება სკეა-ს აღმასკომის მიერ დადგენილ წესით, დავალიანების დაფარვის შედეგად.

5. საწევრო-ანარიცხები გადაირიცხება სკეა-ს მიმდინარე ანგარიშზე.

6. სკეა-ს წევრებს, მის განყოფილებებში, აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, კერძო პირებს, რომლებიც აწარმოებენ მიზნობრივ შენატანებს, უფლება აქვთ მიიღონ შემოსავლები აღნიშნული საქმიანობიდან, ამ შენატანების პროპორციულად, კერძო პირებს კი — ხელშეკრულების საფუძველზე.

7. სკეა-სთან არსებული კომპარტოვების, გაერთიანებებისა და სხვა კოლექტივების საქმიანობიდან ჩასარიცხი თანხის ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებებით.

8. ფულადი სახსრების წარმოქმნა და გამოყენება ხორციელდება აღმასკომის მიერ დამტკიცებულ ხარჯთაღიწესის საფუძველზე.

9. სკეა ქმნის განვითარების ცენტრალურ ფონდს, მისი წევრების დახმარების ფონდს, მათზე კრედიტის მიცემის ფონდს, მატერიალური წახალისების ფონდს, ვალუტისა და დახვეწის ფონდს, აგრეთვე შტატისა და ღირებულებითი მუშაკების ხელფასის ფონდს.

10. სკეა-ს შემოსავლის ნაწილი გამოიყენება საქველმოქმედო მიზნებისათვის. ასოციაციის მართვის ორგანოების წევრთა და სკეა-ს სხვა მუშაკების პრემიებისათვის.

11. სკეა განსაზღვრავს ასოციაციის ქონებისა და სახსრების გამოყენების წესს, სკეა-სათვის საჭირო სამატრიკულ-ეთიკების, აგრეთვე ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული მუშაკებისა და ცალკეული პირების რაოდენობას, ამ კატეგორიის მუშაკთა შრომის ანაზღაურებასა და პრემიებს.

12. სკეა-ს მუშაკების პერსონალური შემადგენლობა მტკიცდება აღმასკომის მიერ, აღმასრულებელი დირექტორის წარდგინების თანახმად, რომელიც მუშაკების მოწვევა ხორციელდება სკეა-ს აღმასრულებელ დირექტორსა და მოწვეულ მუშაკთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ავტორიტეტს უნდა გავუფრთხილდეთ

მართი შეხედვით, საქმეში ჩაუხედავ კაცს ისეც შეიძლება მოეჩვენოს, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელ კრილობასა და გაერთიანება „საქმეებს“ შორის პირდაპირი კავშირი არ არის. მაგრამ ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ საქართველოს საფეხბურთო გუნდებმა უარი თქვან სსრ კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობაზე, ამ საგარეო-ეკონომიკური გაერთიანების საქმიანობაზე შეეხო. მაინც როგორ?

რას ფიქრობს ამ საკითხზე „საქმეების“ ხელმძღვანელი ბატონი დავით შირაქიანი? ამ კითხვით შევავლეთ მინისტრთა საბჭოს შენობაში მისი ოთახის კარი.

— ჩვენი გაერთიანება უკვე ორი წელია არსებობს. თუმცა, სრულ სამეურნეო ანგარიშზე ვერ შედგენა, სპორტთან და სპორტსმენებთან დაკავშირებულ საგარეო-საეკონომიკურ კავშირებს უფასოდ ვასრულებთ. ქართული სპორტის ინტერესებს წარმოვადგენთ საგარეო ბაზარზე, უფლება გვაქვს მის საქმიანობაზე იურიდიული და ფინანსური პასუხისმგებლობაც დავიკისროთ. ბევრი ცნობილი უცხოური ფირმა დაინტერესებულია საბჭოთა ქვეყანაში თავისი პროდუქციის რეკლამირებით, ვასაგებია, რომ კარგა გუნდმა კარგი შემოსავალიც შეიძლება მოგვიტანოს. ამავ დროს, ფინანსური თვალსაზრისით თავად სპორტსმენებიც დაინტერესებული არიან თანამედროვე რეკლამით. ჩვენმა გაერთიანებამ, პირველად საბჭოთა სპორტის ისტორიაში, შეძლო დაედო ხელშეკრულება დასავლეთის ფირმა „პუშპასთან“, რომელიც თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის სპონსორი გახდა. მხედველობაში მაქვს ის, რომ ფირმა „პუშპა“ თბილისის „დინამოს“ უფასოდ გადასცა ფორმების სრული კომპლექტი, სულ 40 ათასი დოლარის ღირებულების. შარშან ჩვენ შევიციის კლუბ „პოლმსუნდში“ მივაგვლინეთ ფეხბურთელები რამაზ მუხაშვილი და თენგიზ სულაქველიძე. ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება ზაურ სეხაძესთან და მერაბ მუხრანაშვილსთან კონტრაქტის დასადავად. გარდა ამისა,

ხელბურთის მწვრთნელი თამაზ ანთაძეც კუვერტში სამუშაოდ ჩვენი ხელშეკრულებითაა გაგზავნილი. ყველაფრის ჩამოთვლა, რაც ჩვენმა ორგანიზაციამ გააკეთა საერთაშორისო დონეზე ქართული სპორტის ავტორიტეტის ასამაღლებლად, ალბათ, შორს წავიყვანს. მაგრამ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ქართული სპორტის დამოუკიდებელი ნაბიჯები უკვე რეალობაა.

მაგრამ ახლა, მოდით, ერთად განვსაჯოთ სადამდე შეიძლება მივავიყვანოთ მიღებული გადაწყვეტილება. საერთაშორისო ბიზნესში პარტნიორების პატიოსნება და სიმელობა ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ფაქტორია. ახლა კი, როცა უარს ვამბობთ საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილეობაზე, შეიძლება დაგვარჯიშოს კონტრაქტში, მაგალითად, კონკრეტულად არის ნათქვამი, რომ გუნდმა მონაწილეობა უნდა მიიღოს საკავშირო ჩემპიონატში და თუ ამ პირველობაზე მაღალ ადგილს დაიკავებს ან ევროპულ გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას, კონტრაქტის თანხა ბევრად გაიზარდება. სწორად გამოვით, სულ ერთ წელიწადში ჩვენმა გაერთიანებამ რესპუბლიკის ბიუჯეტში 34 მილიონი მინუტი შეიტანა, ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია, კონტრაქტის საფასური გადავუხადოთ „პუშპას“ და დაწესებული წესები ავტორიტეტს საგარეო ბაზარზე? მოსურვეებს კი ამის შერე ვინმე ჩვენთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებას? აქ საფრთხე ემუქრება არა მარტო უკვე არსებული კონტრაქტებს ქვეყნებთან და ფირმებთან, არამედ მომავალში დასაღებ ხელშეკრულებებსაც.

ვიცი, თქვენ პირდაპირი კითხვები გიყვართ, ამიტომ დაგასწავთ: მე მინდა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დამოუკიდებელი იყოს? დიახ, მინდა! ისიც მგონია, რომ ახლა არ არის ქართული კაცი? ვისაც ეს არ სურს. ძალიან კარგი, რომ ასეთი ფედერაცია შეიქმნა, და, ის იყოს დამოუკიდებელი, და, იყოს ოპოზიციურიც სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მიმართ, და, მან, იზრუნოს, რომ ჩვენი ფეხბურთელების ინტერესი არასდ და არაფერში შეილახოს. მაგრამ, როცა სსრ კავშირის ჩემპი-

ონატში მონაწილეობაზე უარს ვამბობთ, საჭიროა გავითვალისწინოთ ყველაფერი — გუნდის, როგორც ფინანსური ერთეულის ინტერესები. მისი მატერიალური მდგომარეობა საშინაო და საგარეო ბაზარზე, უნდა გავითვალისწინოთ თვით ფეხბურთელების ინტერესებიც, იმ ადამიანებისა, რომლებიც ფეხბურთით ცხოვრობენ. ახლა მაყურებლები? განა მათში ცოტაა ისეთი, ვისთვისაც ფეხბურთი შეიძლება ყველაზე დიდი გატაცება პირად ცხოვრებაში? ამიტომ მინდა წინადადება შემოვიტანო — ჩატარდეს რეფერენდუმი, რათა გათვალისწინებული იქნას მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესები. ფეხბურთი ხომ მხოლოდ სპორტის სახეობა არ არის, ეს კარგად გვესმის და თუ გადავწყვეტთ უარი ვთქვათ ყველა საფეხბურთო შეჯიბრებაზე, გარდა რესპუბლიკის ჩემპიონატის მატჩებისა და თუ აუცილებელია ეს მიხედვით ახლა გადავთვლით, მაშინ იძულებული ვიქნებით ერთად ვეძებოთ გზები საგარეო ეკონომიკურ ბაზარზე ჩვენი ავტორიტეტის შესანარჩუნებლად.

ესაუბრა პაპი გომორიშვილი.

დეკაბერი უსსრ-ში

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციამ დადგენილება მიიღო სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის შემადგენლობიდან ვასვლის თაობაზე და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივიც გაეთმოს საკავშირო შეჯიბრებებს, თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტის ოთარ წერეთლის, აგრეთვე, გუნდის ხელმძღვანელების მისამართით უცხოეთიდან ტელეწიგნით მოდის ოფიციალური დეპეშები. გთავაზობთ ზოგიერთი მათგანის შინაარსს:

„პატივცემულო პრეზიდენტო! შევითხვეთ, რომ ბოლო ხანებში თქვენ ხორციელდებით შეგქმნათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან, რომელსაც განზრახული აქვს გავიდეს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის რიგებიდან და თბილისის „დინამომ“ მონაწილეობა არ მიიღოს სსრ კავშირის ჩემპიონატში. ჩვენი რჩევაა თავი შეიკავოთ ამ დანაშაულებს განხორციელებისაგან, თუ არა და ეს მნიშვნელოვნად ხელს შეუშლის ჩვენს შემდგომ ურთიერთდამოკიდებულებას. ჩვენი ნორმალური ურთიერთობისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ თბილისის „დინამო“ დარჩეს სსრ კავშირის საფეხბურთო ლიგაში“.

ხაუკეთესო სურვილებით — ლარს ლინდმარტი, შვეციის პოლმსუნდის საფეხბურთო კლუბი იფკ-ს პრეზიდენტი.

თბილისის „დინამოს“ ამ კლუბთან დაღებული აქვს 3-წლიანი კონტრაქტი (1989-91 წლები), რომელიც ითვალისწინებს, რომ შვეციის ამ კლუბმა 50 ათასი დოლარის ღირებულების სპორტული აღჭურვილობა და ინვენტარი უნდა გადასცეს ჩვენს კლუბს.

„ბატონო პრეზიდენტო! შევითხვეთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა გავიდეს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის რიგებიდან. ეს ნიშნავს, რომ თქვენ ხაუკეთესობა აღარ გექნებათ აგრეთვე და გააართო შევიცაში, ვინაიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ამ ეტაპზე ვერ შეძლებს ფიფა-სა და უიფა-ს წევრობის მიღებას. ხაუკეთესობით ხერხი უნდა მოგმართოთ თხოვნით გადახინჯოთ თქვენი გადაწყვეტილება და დარჩეთ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის შემადგენლობაში, რათა იურიდიული შესაძლებლობა გვქონდეს დანაშაულის თქვენთან შემდგომი თანამშრომლობა“.

პატივისცემით — უპე რიუნაპაი, ხორტულ-ტურისტული ფირმა „ბორკ ენ ბიოსტრომის“ მენეჯერი შვეიციაში.

თბილისის „დინამოს“ ამ ფირმის მეშვეობით დაულო კონტრაქტი შევიციის პროფესიულ კლუბებს.

„პატივცემულო ბატონო! ჩვენ გავგანაი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გავიდა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის შემადგენლობიდან. გთხოვთ კარგად გავიგოთ, რომ ჩვენ პოლიტიკური მოსაზრებებიდან არ გამოვდივართ, მაგრამ ჩვენს შორის არსებული ხელშეკრულების საქმიანი მხარეების გათვალისწინებით ეს ხასიყეთი ნაბიჯი არაა. ჩვენ შორის დაღებული სპონსორული კონტრაქტი გულისხმობს, რომ თბილისის „დინამო“ მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის ეროვნულ ლიგაში და ევროპულ ტურნირებში. გთხოვთ დამოკიდებული გახარკვევად რაც შეიძლება სწრაფად გვაცნობოთ ახლანდელი ვითარება“.

გახურვებთ ყველაფერ კარგს — ნილს ბერგლუნდი, ხაერთაშორისი ფირმა „პუშპა“.

„პუშპა“ 40 ათასი დოლარის ღირებულების ვალდებულება აიღო თბილისის „დინამოსთვის“ სპორტული ფორმის შესაძენად. ფირმა სხვა პარტნიორებსაც ეძებს სარეკლამოდ და კონტრაქტის დასადავად.

საფრთხილი მატჩი

სოხუმის ცენტრალურ სტადიონზე გამართულ სეზონისწინა საწვრთნელ მატჩში ადგილობრივმა „დინამომ“ აბოვიანის „კოტაისს“ უმასპინძლა. მთელი ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში უპირატესობას დინამოელები ფლობდნენ, მაგრამ ვერ შეძლეს რამდენიმე საგოლე მომენტის გამოყენება და შეხვედრა ფრედ — 0:0 დამთავრდა.

მასპინძელთა შემადგენლობა: ბენიძე, ბონდარუკი, ჩეკუნოვი, დონია, მალანია, ინალიშვილი, ნიკი (ჩინრაძე), ახვლედიანი (ბოსტანჯიანი), გოგრიკიანი, ჩალიგავა, ხაგბა.

თენგიზ აბაორია, სოხუმი.

იოზაფ ბლატარი მოსკოვს ჩაპი

გაზეთ „სოვეტსკი სპორტი“ 13 თებერვალს გამოქვეყნდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივნის იოზეფ ბლატარის მიმართვა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის ვ. კოლოსკოვისადმი. ამ წერილით სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის აფრთხილებენ, რომ თუ არ შეწყდა მწვავე კონფრონტაცია ამ ორგანიზაციასა და სსრ საფეხბურთო ლიგების კავშირის შორის, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია გაირიცხება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციიდან, საბჭოთა გუნდებს კი არ მისცემენ საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლებას.

ლოს-ანჯელისი. ამერიკელთა უჩვეულო ინტერესი გამოიწვია აშშ-სა და საბჭოთა კავშირის ნაკრებმა გუნდების ამხანაგურმა შეხვედრამ, რომელიც 24 თებერვალს უნდა გაიმართოს. ამჟამად უკვე 44 ათასი ბილეთია გაყიდული. მეტი მაყურებელი ჰყავდა მხოლოდ 1984 წლის ოლიმპიადის პროგრამით გამართულ მატჩებს.

დუბაი. არაბთა გაერთიანებული საემიროების ნაკრები ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 0:2 დამარცხდა შვეციის ნაკრებთან. გოლები გაიტანეს სტეფანოუსმა და კლის ინგესონმა. ორივე ნაკრები ემზადება იტალიის ჩემპიონატისთვის.

ბაირნი. ამხანაგური მატჩი გამართა მსოფლიო ჩემპიონატის კოდეგორმა ფინალიტმა. ეგვიპტელებმა უმასპინძლეს სამხრეთ კორეის ნაკრებს, თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

ბელფასტი. ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდების „ლინფილდისა“ და „სელტიკის“ მატჩის დროს „ლინფილდის“ ერთ-ერთი გულშემატკივარი მინდორზე გადმოხტა და ჩხუბი დაუწყო მოწინააღმდეგის გუნდის მოთამაშეს. „სელტიკის“ მმხრეებმა, რა თქმა უნდა, „ლირეულებს“ დაიკვეს თავიანთი კლუბი. მომხდარი აურზაურის შედეგად და-

საბჭოთა გუნდებს კი არ მისცემენ საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლებას.

ამ საკითხის გასარკვევად ქუჩაზაფხანს ფეხბურთის „კიეველი“ კორესპონდენტი დაუკავშირა ციურხის და ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციიდან მიიღო განმარტება, რომ თუ უთანხმოებანი არის საბჭოთა საფეხბურთო ასოციაციის შინაური საქმე და ფიფა არ აპირებს ოფიციალური პოზიცია დაიკავოს ამ საკითხზე. საკავშირო ფედერაციამ ცნობა მიიღო, რომ ბ-მა ი. ბლატერმა თანხმობა გამოთქვა 12 მარტს



ზარალებულია 60-ზე მეტი აღმამიანი, მათ შორის 48 პოლიციელი. ამ უკანასკნელთა აქტიურობა რომ არა, შედეგი უფრო მძიმე იქნებოდა.

რომორც აღრეც ვიწყებოდით, ფეხბურთის სამყარომ დიდი დანაკლისი განიცადა: შარშან საეგვიპტეში კატასტროფაში დაიღუპა ტურინის „იუვენტუსისა“ და იტალიის ეროვნული ნაკრების ყოფილი მოთამაშე, 36 წლის გაეტარიო შირეა. მთელი საფეხბურთო კარიერის მანძილზე იგი „იუვენტუსში“ თამაშობდა, 14 წლის განმავლობაში 7-ჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი, ორჯერ მოიპოვა იტალიის თასი და სამჯერ — ევროპის საკლუბო გუნდების თასები. მაგრამ მისი საფეხბურთო კარიერის მწვერვალი გახდა 1982 წლის 11 ივლი-

მოსკოვში ჩატაროს პრესკონფერენცია.

ამასთან დაკავშირებით სსრკ საფეხბურთო ლიგის კავშირის ხელმძღვანელობა ყველა მწვრთნელს სთხოვს უახლოეს ხანებში გამოთქვას თავისი აზრი ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პოზიციის თაობაზე და ამის შესახებ წერილობით ან ტელეფონით აცნობოს შემდეგი მისამართით: 107120, მოსკოვი, პრიაშიკოვის მოედანი № 6-ა, სსრკ საფეხბურთო ლიგების კავშირი, ტელეფონები: 278-85-11, 274-23-65.

სი, როცა იტალიის ნაკრებმა მესამედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა. ეგვიპტის შირეა 80-იანი წლებში ერთ-ერთი საუკეთესო მცველი იყო და იტალიის ნაკრების ეს უმაღლესი მიღწევა მისმა-საიმედო თამაშშიც განახირობა. შირეამ სამ მსოფლიოს ჩემპიონატში ითამაშა (1978, 1982 და 1986 წლები), ბოლო ჩემპიონატზე იგი იტალიის ნაკრების კაპიტანი იყო. მას შემდეგ, რაც თამაშს თავი დაანება, შირეა ორი წელი მუშაობდა „იუვენტუსის“ მწვრთნელის დინო მოფის თანაშემწედ. იმ სავეალაოდ დღეს, როცა ავარია მოხდა, შირეა სწორედ სამსახურტრებივი მოვალეობის შესასრულებლად იმყოფებოდა პოლონეთში. იგი ქალაქ ზაბუევში მიემგზავრებოდა, სადაც უნდა დასწრებოდა „გურნიკის“ თამაშს. ეს გუნდი „იუვენტუსის“ მეტოქე იყო უფას-ს თასის გათამაშების პირველ ტურში. სამუშაოროდ, ეს მოგზაურობა იმ დროს დაემთხვა, როცა პოლონეთის საფეხბურთო საზოგადოებრიობა გლოვობდა თავის ერთ-ერთ კერძს: წინა დღეს შეერთებულ შტატებში ასევე საავტომობილო ავარიის შედეგად გარდაიცვალა ცნობილი ფეხბურთელი კაზიმეჟ დენა.

მომზადდა მირიან ბარდაველიძემ.



ამ 13-14 წლის გოგონებმა გასული წლის ბოლოს მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონის ტიტული თანატოლთა შორის. ისინი თბილისის მიხეილ კეკელიძის სახელობის 58-ე ზოგადსაგანმანათლებლო საკლასობურ სკოლაში (დირექტორი მერაბ კეკელიძე) სწავლობენ. „მართავენ“ — ასე ჰქვია ამ გუნდს, ახლა კიდევ ერთი წარმატება მოიპოვა — მესამე სპირიზო ადგილზე გავიდა საკავშირო ზონალურ შეჯიბრებაში (უფროსი მწვრთნელი შ. იაქაშვილი, მწვრთნელი გ. სამხარაძე, სპონსორია ნავთილის პურპროდუქტების კომბინატი).

სურათზე: მარცხიდან (დგანან) ნ. ტომარაძე, ი. ამინათაშვილი, მ. მამაგვიშვილი, მ. პაპაშვილი, ნ. კაკიაშვილი, წინა რიგში — ი. გოგელაშვილი, თ. უხანეთაშვილი, თ. ცხადაია, თ. სამხარაძე, ს. ლოლაძე.

ყველაფერი კეთილი ნების თამაშებზე

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ყოველმხრივ უჭერს მხარს კეთილი ნების თამაშებს; ჟურნალისტებთან გაბარებულ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ თერთმეტი სახლმა შექმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს თამაშების მხარდაჭერის თვითმტკიცებელი ცენტრის ორგანიზაციას.

საბჭოთა კავშირში ერთ თვეს იმყოფებოდნენ სტუმრად ამერიკელი კინემატოგრაფისტები. მათ შექმნიეს ფილმები იმ საბჭოთა სპორტსმენებზე, რომელთა გამოსვლაც ვარაუდობენ კეთილი ნების თამაშებში. უკვე მხარს ანიჭებენ სვეტლანა ბოგინსკაიასა და გლადიმირ არტიომოვს (ორივე — ტანვარჯიში), სერგეი ბუბკასა და რაიონ გატაულინს (ორივე — მძლეოსნობა), ასრენ ფაძაევს (თავისუფალი ჯიბისა), ეკატერინე გორდეევასა და სერგეი გრინკოვს (ორივე — ფიგურული ცეკვა), ირაიდა ფილიპოვა (ვიკლინგის სპორტი), იური ზახარევიჩი (ძალისხმობა), ბევრ კიდევ სხვებს.

თამაშების აღმასრულებელმა დირექტორმა ტრენი ვერნამ ჯერჯერობით დასახელება მხოლოდ ხუთი ტელეკომენტატორი, რომლებიც მოემსახურებიან შეჯიბრებებს. მათ შორის არიან „სენტ-ლუსის ბლიუსისა“ და „ნიუ-იორკ რეინჯერსის“ პროფესიული ჰოკეის კლუბების ყოფილი მკვირვარე დევიდსონი, აშშ-ს თავისუფალი სტილის მოჭიფვეთა ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი რას ჰელისონი, აფროსანი და მწერალი გერი ჯოსონი.

ტიმონი ბროდკასტინგ სისტემისა და სარ კაშპირის სახელწოდებით, როგორც კეთილი ნების თამაშების მთავარ სპონსორებს უკვე მხარში ამოუდგა სხვადასხვა ქვეყნის 33 ტელეკომპანია. ვარაუდობენ, რომ თამაშებს მილიარდობით აუდიტორია ეყოლება.

აშშ-ს კალთბურთულ ვაჟთა ნაკრები გუნდის მწვრთნელად

დაინიშნა მაიკ კრეტივესკი. როგორც ცნობილია, კეთილი ნების თამაშებში მოყვარულბობთან ერთად გამოვლენ პროფესიონალი კალთბურთელები. მწვრთნელის ახარით, მთავარი პრობლემა გუნდის წევრთა შეთამაშება იქნება. სხვა სახურეები მას არა აქვს.

კალთბურთულ ქალთა ნაკრებს კი ტერეზა გრენტი ხელმძღვანელობს, ეს მწვრთნელი 1982 წლიდან საუნივერსიტეტო გუნდს ავარჯიშებს და მის აღსაზრდელს ბოლო წლებში აშშ-ს ეროვნული ჩემპიონატის 336 მატჩი აქვთ მოგებული.

კეთილი ნების თამაშები კეტბურთულთა სეზონის ერთ-ერთი მთავარი შეჯიბრება იქნება, ვინაიდან ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს საუკეთესო კეტბურთელები. შეხვედრებში, რომლებიც გაიმართება 26-31 ივლისს, მონაწილეობას მიიღებენ აშშ-ს, სსრ კავშირის, კანადის, ჩინეთის, კუბის, იაპონიის, მექსიკისა და პუერტორიკის გუნდები.

აშშ-ში მოეწყო კეთილი ნების თამაშების საონსორთა სემინარი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ ცნობილი ფირმები „ქე-სი“, „კოდაკი“, „ჯელუტი“, აგრეთვე ჟურნალი „სპორტს ილუსტრეტიდი“.

კეთილი ნების თამაშებს მოემსახურება 14 ათასი ადამიანი. მათ შორის უმრავლესობას მოხალისე სტუდენტები წარმოადგენენ.

სახელგანთქმულმა წყალში მტკიცებულმა გრეგ ლუგანისმა დატოვა საბრძოლო. ამასთან დაკავშირებით აშშ-ს ნაკრებში გარკვეული ვაკუუმი შეიქმნა. გუნდის მწვრთნელის ახრით ახალაზრდებს ჯერ არა აქვთ შანსი რაიმე რეალურ წარმატებას მიიღონ ჩინეთის, სსრ კავშირისა და გდრ-ის სპორტსმენებთან ბრძოლაში.

პრიზი — „საუბუკი“

საბანეთის ქალაქ ლინარისში მიმდინარე ტრადიციულ საქადრაკო საერთაშორისო ტურნირში მონაწილეები კენჭისყრით ასე განაწილდნენ: 1. ალექსანდრე ბელიავსკი, 2. მიგელ ილესკასი (ესპანეთი), 3. ბორის გელფანდი, 4. ნაიჯელ შორტი (დიდი ბრიტანეთი), 5. ლაიოშ პორტიში (უნგრეთი), 6. ბორის სპასკი (საფრანგეთი), 7. არტურ იუსუპოვი, 8. ლიუბომირ ლიუბოვიჩი (იუგოსლავია), 9. ვასილ ივანჩუკი, 10. გარი კასპაროვი, 11. ვალერი სალოვი, 12. ბორის გულკო (აშშ).

პირველი ტურის შედეგებს უკვე ვიუწყავდით. მეორე ტურში კაცბროვმა დაამარცხა შორტი, გელფანდმა — სალოვი, ივანჩუკმა — პორტიში, ილესკასმა — ბელიავსკი, ხოლო ლიუბომირ-სპასკისა და იუსუპოვი-გულკოს პარტიები დასრულდა ყაიმით.

ამრიგად, ორი ტურის შემდეგ შეჯიბრებას 4 ლიდერი ჰყავს — კასპაროვი, გელფანდი, ივანჩუკი და იუსუპოვი (1,5-1,5 ქულა).

მეთხველებსათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ რა პრიზები ელთი გამარჯვებულებს: პირველი — 8 ათასი დოლარი, ხოლო მეორე, არანაკლებ — მომხიბვლელი — იაპონური ავტომობილი „სუპერ-კა“, რომელიც, სხვათა შორის, უკვე ღვადასსტუმროს „ანბისას“ სათამაშო დარბაზში. ბუნებრივია, ტურნირის მონაწილეები ამავე სასტუმროში ცხოვრობენ.

საქართველოს ორგანიზატორებმა იზრუნეს, არა მარტო საქალაქო მატჩები კრიზისული, არამედ ფიზიკურად მონაწილეობის საბრძოლო განწყობილებისთვისაც — აიკრძალა ყაიმზე შეთანხმება არა უადრეს 40 სეკუნისა.

დაიწყო ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი სალამანკაშიც, სადაც გარდის მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ის, რომ მასთან ერთად ტურნირში კიდევ 9 მოჭიფველს მონაწილეობას და თვით შეჯიბრება IX კატეგორიას განეკუთვნება.

კალენდოსკობი



ბარათდამალი „ვერტა ხსპანია“

წლეულს გართულებული პროგრამით ჩატარდება პროფესიონალ ველოსიპედისტთა ერთ-ერთი პოპულარული რბოლა „ვერტა ესპანია“. მასში ბლომად იქნება ჩართული სამთო ეტაპები. ყველაზე ძნელი ეტაპი სიერა-ნევადას მთიანეთში გაივლის. მისი ფინიში ნავარაუდევია სოვის ღონიდან 2510 მეტრის სიმაღლეზე.

22 ეტაპისაგან შემდგარი რბოლა სულ 3680 კილომეტრს შეადგენს. სტარტი შეჯიბრებას მიეცემა 24 აპრილს ხმელთაშუა ზღვის კურორტ ბენიკასიში, ფინიში კი 15 მაისსა დაინიშნული მადრიდში. რბოლის პროგრამაში შეტანილია 4 რბოლა რიგრიგით სტარტით.

ორივე გარმანის სახელით

გარმანის დემოკრატიული რესპუბლიკის ძალისხმობა ჩემპიონატში, რომელიც 27 აპრილს ჰერაში

დაიწყება, მონაწილეობას მიიღებს ექვსი დასავლეთგერმანელი შტანგისტი. ასეთი გაღმარებული მძილეს ამ ორივე ქვეყნის ძალისხმობის ფედერაციებმა.

1990 წელს აღმოსავლეთ და დასავლეთ გარმანის ძალოსნები კიდევ რამდენიმე ერთობლივ ღონისძიებას გაიმართავენ. მათში უმთავრესი იქნება სემინარი; რომლის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა ცნობილი გერმანელმა სპეციალისტმა. გვიანდ კი ასევე ერთობლივად აღიზნება გერმანიის ძალოსნობის საიუბილეო თარიღი — 100 წლისდაღი.

სადღეა კალენდოსკობის ფასი

არაბეთის ქვეყნებში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს აქლემების ღობი. შეჯიბრებებს ტრადიციულად ათობით ათასი მყურებელი ესწრება. სწორედ ამის გამო ამ რეგიონში აქლემების ბიზნესი საკმაოდ სარფიანი საქმეა. ამას წინათ ომანში გაიყვინდა თორმეტი სალდე აქლემი, რომელთა ღირებულებებამ 198.747 ადგილობრივი რიალი შეადგინა (513 ათასი ამერიკული დოლარი). მყიდველის ვინაობა აუქციონზე არ გამოუცხადებიათ. სამაგიეროდ ცნობილია, რომ გან-

საკუთრებით პოპულარულ აქლემებში მუშტრები ათჯერ უფრო ღირს თანხას იძლევიან. ერთხელ ქალაქ მუსკატში სალდე აქლემი 500 ათას დოლარად გაიყვინდა, მაგრამ სპეციალისტები ამბობენ, რომ არც ეს თანხა არის სარეკორდო.

საქართველოს ლუდის ფირმის ეგზლემი

როგორც ცნობილია, ევროპაში საუკეთესო ციგებსა და ბობებს გდრ-ის ფირმები ამზადებდნენ, ამ ფირმებს საკმაო კონტრაქტები აქვთ სხვადასხვა ქვეყნების ფედერაციებთან, რომლებიც ხალხსთ ყიდულობენ გდრ-ში დამზადებულ ინვეტარს.

ამ დღეებში აღმოსავლეთ გერმანიის ცხვარაობისა და ბობსლეის ფედერაციამ კონტრაქტი დალო დასავლეთგერმანიის ფირმა „მუხენსერ ბრაუერისთან“. ამერიკიდან გდრ-ის ციგებსა და ბობებს ექნებათ დასავლეთგერმანიული უალკოჰოლო ლუდის ფირმის ემბლემა.

1,25 მილიონი დოლარი — პრისტივის

ამერიკელმა მოკრივემ მიიჭ ტაისონმა თანამემამულესთან ჯეიმს დულასთან დამარცხების შემდეგ განაცხადა, რომ მზად არის ორი თვის შემდეგ მატჩ-რევენშში შეხვედრას გამარჯვებულს. მაგრამ დულასი არ ჩქარობს. „შე მირჩევნია, თქვე მან, ჯერ პირველ პრეტენდენტს ევანდერ პოლიფილს გავეუსწოროდ. მაგრამ უფრო მეტ ფულს, ალბათ, ტაისონთან შეხვედრა მომეტანს“.

მეტოქეთა ახალ შეხვედრას მოაწყობს ტაისონის მენეჯერი დონ კიგი. ბრძოლის გამართვა გადაწყვეტილია ატლანტიკ-სიტში 18 ივნისს (სწორედ აქ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს ტაისონი და პოლიფილი), პოლიფილი, რომელიც ამ შემთხვევაში დაზარალებული მხარე, უბრალოდ ველოდს მიიღებს 1,25 მილიონ დოლარს — თანხას, რომელსაც მის ჩვეულებრივ ყოველ ბრძოლაში აძლევენ.

„სპორტბრონოსი“

მე-7 ტირამის შედეგები (18 თებერვალი)

1—1, 2—1, 3—X, 4—2, 5—1, 6—1, 7—1, 8—X, 9—2, 10—X, 11—X, 12—2, 13—2.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

გათამაშდა ფეხბურთში იტალიის 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორი საგზური. ბენდები ბიულეთების ნომერება 64066379 (სერია „CA“), და 30350978 (სერია „CA“).

მეტრზე მალაღობი, 23 წლის სიმენ ადესტინი მეტად თავისებური ფიგურა თანამედროვე სპორტსმენთა შორის. იგი ექსტრაკლასის დიდოსტატია ჰალარაში (რეიტინგი 2605), არაერთი საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული, სკანდინავიის ჩემპიონი, მსოფლიო პირველობის მომავალი საზონათშორისო შეჯიბრების მონაწილე, ამას წინათ ბელგარადში გარი კასპაროვის მხარდამხარ რომ გამოდიოდა. ამჟამად დროს, ადესტინი ცნობილი ფეხბურთელია, ნორვეგიის ნაკრების ცენტრალური თავდასხმელი. რომელიც არაერთი პირველხარისხოვანი პროფესიული კლუბი ეპატრება. ადესტინმა ჰალარას თამაში ფეხბურთზე ადრე, 11 წლისამ დაიწყო.

ჰალარას თამაში უფრო ძნელია, თუ ფეხბურთისა? — ჰქონდა მას ცნობილია იუგოსლავიელმა მომხიბვლელმა დამატრე ზელიცამ ბელგარადის ტელივიზით გამოხვლებისა.

უნდა ვიღიარო, რომ ჰალარას თამაში ბევრად უფრო ძნელია. ყველა პარტიის წინ საგანგებოდ უნდა მოემზადო, ყველა შესაძლო ვარიანტი უნდა იცოდე. ერთი უხეირო სვლა და, ყველაფერს კარავს. ჰალარაში ყველაფერი ხდება: მოგებაცა და წაგებაც, არის ყაიმიც, მაგრამ მე პირადად წაიმის მოწინააღმდეგე ვარ. ყველა პარტიას ბოლომდე ვთამაშობ, მოგებისკენ მივისწრაფი. თუ, როგორც იტყვიან, ფორმაში არა ხარ, მარტო გეგის, შეიძლება ბოლო ადგილზე დარჩე და რეიტინგიც დაკარგო. ფეხბურთში სულ სხვაგვარადია. შეიძლება უხეიროდაც კი ითამაშო, მაგრამ ეს შეუძნელებელი დარჩეს, თუკი პარტნიორები კარგად მოქმედებენ. ფეხბურთი კოლექტიური თამაშია, ჰა-

ლარაი — ინდივიდუალური. ჩემი კოლეგა-დიდოსტატები ტიპური ინდივიდუალისტები არიან.

როგორ აირჩიეთ თქვენი ხაქ-მანთან სხვორად ჰალარა და ფეხბურთი?

ჩვენს ოჯახში ყველა თამაშობს ჰალარას. მამს ოსტატის წოდება აქვს, მამაჩემიც ძლიერი მოჭიფველია. ხშირად ვატარებდით საოჯახო ტურნირებს. ფეხბურთიც ტრადიციული სპორტია ჩვენთვის. პაპაჩემი შესანიშნავი ძილოსანი იყო, სიმძიმეების აწევაში ტოლი არ

დროის უძლიერესი მოჭიფველები არიან: დარწმუნებული ვარ, ისინი შემოდგომაზე კვლავ შეხვედრიან ერთმანეთს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი აზრით, მანადე კარავი პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში ტიპის დაიმარცხება.

რა კიდევ უნდა ითქვას პროგრამაზე ვაგვაცანით, იმასაც ხომ არ გეტყვით, ვინ გამარჯვებს ამ წაფულს ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში?

ჩემპიონი იტალიის ნაკრები გახდება. იუგოსლავიელებიც ჩინე-

და ჰალარასაც აღარ ვითამაშებ, მინდა სპეციალობა შევძენ, ჩვეულებრივი, უბრალო ეკონომისტი ვაგვადებო. თუმცა, ეტყობა, ძველ სიყვარულსაც ვერ დავვიწყებ. თერთმეტი წლის ვიყავი, ჰალარას თამაში რომ დავიწყებ და როგორ გინდათ, სრულიად მივიცოვო? როგორც ფეხბურთელმა, შესძლოა, გაეცლებით მეტი თანხა მივიღო, მაგრამ ჰალარაზე სულ სხვაა. საფეხბურთო შეჯიბრების დროს ჩემს თანაგულდელს ჰალარას ვეთამაშებ. შექულარიც კარგად თამაშობს. ერთხელ ტელევიზიით გამოსვლისას ჰქონდა, ადესტინს ხომ არ ეთამაშებო. დღავალივი დაფიქრდა და ჩემგან წინასწარ ეტლის დათმობა მიითხოვა, იგი ხომ ცნობილი დიდოსტატია. სანტერუსოა, რომ იგი ჰალარას ვარდა ჩოგბურთსაც კარგად თამაშობს და ფიქრობს, რომ მათ ბევრი რამ აქვთ საერთო. თვით სახელგანთი ბიორ ბოროც სწორედ ასე თვლიდა. ყოფილა შემთხვევა, როცა იგი ჩოგბურთის მატჩში შესვენებისას ჰალარას თამაშობდა.

სიგან აგდესტინი

მანტარაჯის დიდოსტატი და ეროვნული ნაკრების ცენტრატორპარდი

ჰყავდა. ბევრი ფიქრობს, რომ ჰალარასა და ფეხბურთს არაფერი აქვთ საერთო, მაგრამ ისინი ცდივიან. საერთო როგორ არა აქვთ! ფეხბურთს, ისევე, როგორც ჰალარას, გამჭვირვაობა და ფიქრი სჭირდება. ხომ ნახეთ ამას წინათ „ტრენინგ-სეზონს“ შეხვედრა „კილონთან“ საეჩივიშიმა (ცნობილი იუგოსლავიელი ოსტატია), სანამ ბრწყინვალე გოლს გაიტანდა, რამდენიმე უბუსტესი „საჰალარაკო სვლა“ გააკეთა.

რა იტყვით ხაქალარაკო და ფასთან შექმნილ ვითარებებზე? რას ფიქრობთ ფიქრზე, კანპაროვსა და კარპოვზე?

გწუხებარ, რომ არასოდეს მინახავს ფიქრი, არასოდეს მითამაშია მასთან. იგი მინამდე თამაშობდა, სანამ მე გავეცნობოდი ჰალარას და შემდეგ თვითონ აირჩია იზოლაციის გზა, კანპაროვსა და კარპოვს დაავად, რომ ჰალარას განუდგა, ფიქრი ნამდვილ ლეგენდად დარჩა. ყველა გამუდმებით მასზე ლაპარაკობს. კასპაროვი და კარპოვი ჩვენი

ბულად ითამაშებენ. თქვენმა ფეხბურთის დიდოსტატებმა შესარჩევ მატჩებში ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეს, ყველაზე მეტი ქულა მოაგროვეს. ამას არც მე მოველოდი და, ეტყობა, არც თქვენ. მე თვითონ ვთამაშობდი იუგოსლავიის ნაკრების წინააღმდეგ ოსლოში, მინდობრზე მეორე ტრამში გამოვედი. დიდი ბრძოლა გაიმართა. იუგოსლავიელებს მსოფლიო პირველობაზე დიდ წარმატებას ვუსურვებ. თქვენ ხომ ყოველთვის შესანიშნავი ფეხბურთელები გყავდათ.

რა არის თქვენთვის ჰალარა — პროფესია, ხიყვარული თუ კიდევ სხვა რამ?

მე, მართალია, დიდ საერთაშორისო ტურნირებში ვთამაშობ, მაინც არა ვარ წმინდა წყლის საჰალარაკო პროფესიონალი. როგორც ფეხბურთელი, ვაცილებით მეტს ვიღებ, მაგრამ ჰალარასა და ფეხბურთის გარდა, ეკონომისტის სპეციალობასაც ვეუფლები. როცა ფეხბურთელის კარიერას — დავამთავრებ

საქართველოს კ. ც. — ს. გამომცემლობის წინააღმდეგ დროულად რედაქციის სტამბა. 390906, თბილისი, ლენინის ქ. 14. აბეგლება იუგოსლავიის საგარეო კორპუსში: ხონარულის, 39.

საქართველოს ტელევიზია:
 წერილებს განყოფილება — 98-97-55,
 სამაგნი — 98-97-52,
 ინფორმაციის განყოფილება — 98-97-53,
 „მერანი“ — 98-97-26, „მარაგა“ — 98-97-27.

საქართველოს ტელევიზია:
 83550
 0562510
 86435

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45 46 47 48 49 50 51 52 53 54 55 56 57 58 59 60 61 62 63 64 65 66 67 68 69 70 71 72 73 74 75 76 77 78 79 80 81 82 83 84 85 86 87 88 89 90 91 92 93 94 95 96 97 98 99 100

თე 08748